

მზი

№ 8
წელიწადი
გერმანია
1914

წლიურათ 7 მანეთი
ნახევარი წლით 4 მანეთი
თვეურათ 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაურა.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-
ნაწილად გადახადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და-
ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. საზღვარგარეთ წლიურათ
14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვეურათ 6 აბაზი.

შაბათი, 11 იანვარი.

მისამართი: Кутаисская редакция

„მზი“

Ивановская, д. Чиладзе.

ყოველდღიური გაზეთი

ტელეფონი № 149.

„მზი“

ხუთშაბათიდან, 9 იანვრიდან დიდი პროგრამა.

პ ა ტ ვ უ რ ნ ა ლ ი.

II. ღმერთების სიყვარული

პარიზის ოპერის მსახივარი ნაპერკვების ქალის
მონაწილეობით.

III. სტუმრათ ქონდრის

კაცთან

ძალაძე გ. მ. ი. გ. რ. ი.

ოპერაბუნი, 13 იანვრიდან
ნაჩვენები იქნება საუცხოო
სურათი.

ყოველდღიური საკონსტიტუციო და სალიტერატურო გაზეთი

„მზი“

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ახლა მონაწილეობას მიიღებენ წევრები ცნობილი პუბლიცისტები, პუბლიცისტ-
ტები და კრიტიკოსები.

გაზეთის ფასი:

ერთი წლით 7 მანეთი.
ნახევარი წლით 4 მანეთი.
ერთი თვით 4 აბაზი.

და ცალკე ნუმრის 1 შაური.

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილად შეიძლება ამ
სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მისს—ორი მანეთი და
პირველ ექვსთვეს—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს
14 მ., 1/2 წ.—8 მ., თვეურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზე-
თი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვეურათ 3 აბაზად.
მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаись, редакция газ. „МЗИ“ ამ მისამარ-
თით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.

დღეს, 11 იანვარს, ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილი
იქნება წლის წირვა და პანაშვილი

ელიზბარ გრიგოლის მის ქებაში

სულის მოსახსენებლათ; რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნა-
ცნობთ: ქვემოთ პელაგია დავითის ასული ქებაში, შვილები: ბიკია,
ვასიკო და დავითი ელიზბარის ძე ქებაში; ქალიშვილები: ლიზა მო-
წონელიძისა, მარიამ გენერისა და აგრადინა ფალიანისა; სიძეები:
ილიარიონ მოწონელიძე, ივანე გენერისა, ილია ფალიანი.

ქუთაისი

პირველი კერძო სემპრონდლო

სპეციალისტი აქიმები.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რევივიანის სახლი თეთრ ხიდან.

აუთმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

გ. ა. შანგა—ულის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. 1—2
გ. ს. ნადარსა—შინაგანი და ბავშვის 10—12
ა. ა. რევივიანი—ღოსტაქარი, ქალთა, საბავშვო 11—12
მ. დ. ბუთხაი—კანის, ათაშანგი, ვენერა. 12—2
გ. ა. ჯოდოშვილი—საბავშვო, ქალთა და შინაგ. 12 1/2

ს ა ლ ა მ თ.

გ. დ. ჯოდოშვილი—თვალის 4 1/2—5 1/2
გ. ა. ჯოდოშვილი—საბავშვო, ქალთა და შინაგ. 5 1/2—6 1/2
სამკურნალო საწოლებით მოწყობილია სააქ.—სანაღოზო კაბინები: სისხლის, შარ-
დის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა,
606—914 შესხმა კონსულტაციურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავადმყოფე-
ბისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორი-
გებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა.

ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჯოდოშვილი.

1914 წლის 2 იანვრიდან

2 января 1914 года

ქუთაისში, კირაკოზოვისა და ოგანოვის ქუჩის კუთხეში, ბულვარის პირდაპირ გაიხსნა

კანცლარია

КОНТОРА

ნოტარიუსის გ. პ. კოკოჩავისა.

НОТАРИУС В. П. КОКОЧЕВА.

18 დეკემბრიდან

დაიწყო ხელის მოწერა

ია ეკლამის (ი. ცინცაძის) მოთხოვნითა მეორე ტომის გამოსაცემად
წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს დართული ექვსივე ავტორის სურათი,
ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.

წიგნი გამოიცემა ავტორის ზედმხედველობით სუფთად და ლამაზად.
ხელის მოწერა მიიღება ბზან კ. ოცხელის, თ. მთავრიშვილის, ი. კვიცარიძის,
„პროვინციის“ წიგნის მაღაზიებში და კერძო ავტენტებთან.

ფასი ხელის მოწერათვის ერთი მანეთი.

მიწერა-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდგენის მისამართით; ქუთაისი, კათოლიკე-
თა ქუჩა, სახლი ხოჯიშვილისა.

გამომცემელი აბ. ცინცაძე.

ქალაქის თეატრი

შაბათს, 11 იანვარს

ივ. ალ. ჯავახიშვილი

წავითხვას ლექციას:

საქართველოს ეკონომიური წესწყობილება
და მდგომარეობა მე 17 და 18 საუკუნ.

ქ. ქუთაისში

ვაჭრობა-მწეველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
გ. გ. გიგინეიშვილისა

15 იანვრიდან იხსნება მეორე-პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები
მიიღება ოთხი კლასის მოწოდებით, ანუ შესაფერ გამოცდას შემდეგ რუსულსა და
არითმეტიკაში. კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მანეთი. თბოვნები მიი-
ღება ყოველდღე კურსების კანცელარიაში.

1913 წლის 20 ნოემბრიდან

ქართველთა შორის წერა-გითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ
გ ა ხ ს ნ ა ს ა ქ უ თ ა რ ი

ახალი სტამბა

— ქუთაისში —

სტამბა საუკეთესოთაა მოწყობილი და იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს ქა-
ლაქსა და პროვინციებიდან: —ქართულ, რუსულ და სხ. ენებზე ზომიერ ფასებში.

ქუთაისი. თ. მთავრიშვილის და ახ. წიგნისა და საგანცელოზო ნივთების მაღაზიაში

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე
შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალი-ახალი რუსული და ქარ-
თული წიგნები, როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქარ-
თლოს ყოველი ქალაქიდან —დაბეჭდვისთანავე.

პროვინციის მოთხოვნილებებს მაღაზია დაუწყებდაც აკმაყოფილებს.

მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ქუ-
რს-გაზეთზე.

აქიმი

ი. ჩარქოვი იღებს კანისა
და ვენერიულ ავადმყოფ-
ებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დღით
12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქი-
მი საავადმყოფოშია.

აქიმი

კ. თ. ტყეშელაშვილი.
ღებულობს ავადმყოფებს
შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუ-
შინსკის სახლი, ავთიაქის უკან, პუშკინის
ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

აქიმი

დ. ჯაფარიძე იღებს შინაგა-
ნის, ბავშვის, აგრეთვე ყე-
ლის, ცხვირისა და ყურის სნეულებით
ავადმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნი-
კარაძისა.

ყაჩაღობა.

ყაჩაღობის გაძლიერება—საზოგადო
ზნეობის დაცემას მოასწავებს.

იმის მაგივრით, რომ ერთმანეთს ხელი
გაუშვართ, ძმურად ჩაებათ საერთო მო-
ქმედების ფერხულში, ერთი ძმა მეორეს
სცარცავს, კლავს. საშინელება!

როდესაც მკვლელობა, ან მცარცველი,
ფიზიოლოგიურად გადაგვარებულია, დე-
გენერაცია, —არ მოეთხოვება პასუხი; მაგ-

რამ, როდესაც ამ საშინელ დანაშაუ-
ლობას ჩვეულებრივი ადამიანი კისრუ-
ლობს, ეს კი იმის მომასწავებელია, რომ
თვით საზოგადოება სნეული.

რომელ საზოგადო მდგომარეობას უფ-
რო გავს ეს ჩვეულება?

ზოგიერთი გულუბრყვილო ფიქრობს,
ყაჩაღობა ვითომ ანარქიას მოასწავებდეს,
დიდი შეცდომაა. ანარქია ისეთი საზო-
გადო წესწყობილებას აღიარებს, რო-
მელშიც აღარ იქნება არც ბატონი, არც
მონა, არც მამაკაცი, არც ჩაგრული,
არც მდიდარი და არც ღარიბი. ანარქია
ერთგვარი საზოგადო ორგანიზაციაა, რო-
მელიც, მართალია, უარყოფს ყოველ-
გვარ მთავრობას, მაგრამ იმავე დროს
ყოველგვარ ძალადობასა და ძალმომრეო-
ბასაც. და, თუ ოდესმე განხორციელდა
ეს წესწყობილება, თადარიგი ავადმყოფ
გადაგვარებულ ბოროტმოქმედთ წინააღ-
მდეგ როდი იქნება უარყოფილი.

იმას კი არ მოგახსენებთ, ეს წესწყო-
ბილება აუცილებლად განხორციელდება
მეტო. არაუმედ ვაშობა, მას არავითარი
შეგავსება არ აქვს ყაჩაღობასა და მცარ-
ცველობასთან.

მაშ რომელს საზოგადო მდგომარეო-
ბას უნდა შევადაროთ ყაჩაღობა? —პირ-
ველყოფილ მდგომარეობას, როდესაც

მეფობდა მუშტი და მახვილი და ყოველ-
გვარი უფლება ძლიერს ეჭირა ხელში.
სუსტი მხოლოდ იმიტომ იწირებოდა
სხვიერებას, რომ სუსტი იყო. სახელი
და. პატივიც მხოლოდ იმას ქონდა, ვინც
უფრო ბევრს მოკლავდა და გაცარცავ-
და, და რადგან მკვლელობა სასახლო
იყო, სინილისი არ ქენჯნოდა მკვლელს.
სწორედ ამგვარ დროს მოგვადგონებს
დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა. გა-
დავგვარდით, გავველეოვოთ: ძმა ძმას,
შვილი მამას, მეზობელი მეზობელს სა-
სიკვდილოთ აღარ ზოგვენ.

ყოველდღეს გვხმის, ამა და ამ სო-
ფელში ამაღამა გლეხს დაეცნ, გაცარ-
ცვეს ან მოკლესო. ასი მანეთისა და ხუ-
თი თუმანისთვის იმეტებენ კაცს!

და მცირეოდენი შეძლების პატრონთ
ხომ გული საფულეს აღარ აქვთ: დღე
არ გავა, რომ მუქარა არ მიუვიდესთ,
ფული თუ არ გამოგვგზავნიან, შავ დღეს
გაგითენებოთ.

ზოგიერთი შეძლებული უკვე გადაი-
ხვეწა, კიდევ ბევრი აპირებს საშობლოს
მეტოვებას, დამ, იმედია, ამ დალოცვილ
ქუთაისში მართლად ღარიბები-ღა დავჩი-
ვო!

მაგრამ, უბედურება ის არის, რომ
ლატეკებსაც კი აღარ ინდობენ. ამას
წინათ ერთი ჩემი ნაცნობი ინტელიგენ-
ტი მდიდარი თავის სოფლისკენ. დაე-
ცნ, წარათვეს ხუთი თუმანი, გახადეს
პალტო, ქუდი და შიშველი გოშვებსა
და ღმერთს მადლობას სწირავდა, ცოც-
ხალი რომ გადარჩა.

და, ღარიბ გლეხს ან ინტელიგენტს,
რომ მათი მცირე ნაშრომ-ნადაწი ხელი-
დან გამოსტაცო, ამაზე მეტი უსამართ-
ლობა იქნება-ღა!

და სოციალური თვალსაზრისით არა
თუ ღარიბის, არამედ მდიდრის გაგლე-
ჯაც კი დიდი დანაშაულობაა, რადგან
დიდით შემთხვევებში საზოგადოების
ეკონომიური განვითარებისათვის.

მდიდარი, ბურჟუა, უნდა გაცარცოვო,
რადგან მას უსამართლოდ აქვს მითვი-
სებული მუშათა შრომის ნაყოფი, ამ-
ბოზს ზოგიერთი შეუგნებელი.

მაგრამ ამგვარი უცნაური მსოფლმხედ-
ველობა, როგორც ვთქვით, ძირს გამო-
უთხრის ჩვენს ეკონომიურ კეთილდღეო-
ბას. ღარიბის, გაძლიერების იმედი თუ
მოუხვებ, სასოწარკვედილობაში ჩავარდება.
პირადი ეკონომიური ინტერესები—ის
ღრძობა, რომელიც ახსენებებს, ამოქმედებს
კაცს. და უიმედო ადამიანთაგან შემდგა-
რი ერი ყოველგვარ ენერგიას მოკლე-
ბული იქნება.

თუ კი ყველა დარწმუნებული იქნება,
რომ, როგორც კი გაძლიერდება, მაშინ-
ვე სიცოცხლეს გამოასალმებენ, ვის-ღა
ქნება გული და ხალისი ენერგიული
მუშაობისათვის ეკონომიურ ასპარეზზე!

ამიტომ, ვიდრე მთლიან არ შეიცვლება
ეკონომიური წესწყობილება, გ. ი. ვიდრე
ეკონომიური ურთიერთობა კერძო საკუთ-
რების საფუძველზე დამყარებულია, კერ-
ძო პიროვნების სიცოცხლე და ქონება
უზრუნველყოფილი უნდა იყოს. უამისოთ
შეუძლებელია საზოგადოების ზნეობრივი,
გონებრივი და ეკონომიური წარმატება.

და ესეც მრავალი მხრით შევიწროე-
ბულს ქართველ ერს მთლიან ბოლო
მოედება, თუ საზოგადოებამ უკური არ
ათხოვა ამ სენს.

უმთავრესი საშუალება კი, ჩემის ფიქ-
რით, ზნეობრივი ზედმოქმედებაა. ხალხ-
მა საჯაროთ, მოუღიღებლათ უნდა და-
გმოს და გაეცხოს თავისი შენარცხვე-
ლი, მანებელი წებარი. და ხალხის ზმას
უთუთ დაემორჩილებინა ხალხის შელ-
ნი.

ტყეა.

ახალი ამბავი.

მოგვარება საზოგადოებას, რომ დღეს ქალაქის თეატრში პრეზენტაციის ი. ალ. ჯავახიშვილი საგულისხმო ლექსის კითხულობს ქუთაისის გუბერნიაში და მშველთა სასარგებლოდ.

8 იანვარს ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა ქალაქის საშოლო კომისიის სხდომა, რომელსაც, კომისიის წევრებს გარდა, დაესწრეს ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი და ქუთაისის გუბერნიის სახალხო შრომების დირექციის წარმომადგენელი ს. დ. გაგუა. სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი საყოველთაო სწავლების შემოღების შესახებ. ამ საკითხის შესახებ კომისია ადგენს ვრცელ მოხსენებას, რომელიც ამ მოკლე ხანში წარედგინება განსახილველად ქალაქის საბჭოს.

9 იანვარს სოფ. მალაქის კანცერლარიაზე მოხდა ხსენებული სოფლის საზოგადოების ყრილობა, რომელშიც თითქმის ერთხმად დაადგინა რიონიდან სარწყავი წყლის გამოყვანა. ამავე ყრილობაზე არჩეულ იქნენ საზოგადოების რწმუნებულები, რომელთაც მიენდო შემდეგში ზრუნვა ხსენებული საქმის განსახორციელებლად. როგორც მკითხველებმა იციან, სარწყავი წყლის პროექტი და საგრაოდო ხარჯთაღრიცხვა უკვე შედგენილი აქვთ ქვეყნის, მაღალკისა და ფარცხანაყანევის საზოგადოებებს — კავკასიის წყლის სამართველოს მიერ. ამ დღეებში უთუოდ ქვეტრისა და ფარცხანაყანევიან მოხდება ამგვარივე ყრილობები. იმედი უნდა ვქონეთ, რომ ეს საზოგადოებებიც გონივრულად შეზღუდვას წყლის გამოყვანის საკითხს, არ დაიწყებენ უსაფუძვლო კინკლაობას ტერორით დაადგენენ, რომ იქნებენ წყლის გამოსაყვანად საჭირო ხარჯს. ნურავის შევინდებთ იმის, რომ წყლის გამოყვანა საქმით დიდ ხარჯს გამოიწვევს. ეს ხარჯი მათ ერთსა და ორ წელში კი არ გადახდებათ, არამედ რამდენიმე წლით გაუნაწილებათ, ასე რომ — სულ შეუმჩნევლად გადაიხდებიან ნურც ის დაიწყებდნენ, თუ რა გავიერებაში ჩავადგენ ისინი წარსული წლის გვალვების გამო, და მომავალში, იქნება, უარესი უბედურებაც დაატყდეს თავს.

გვანი კმაშიარების წარსულიდან.

II. გონებით მიუღწევად ხანს უნდა განვივლო იმ დროს, როდესაც პირველად ქვეყნებზე სიკაცობის ნიშნები აღმოცენდა და ერთუფრედოვან არსებას სიკაცობის პირველი ნიშნები მიეცა, ვიდრე ადამიანი განდგებოდა იმ სახით რა სახითაც იგი დღეს ახსებობს. როდესაც მეცნიერებმა შეისწავლეს სხვადასხვა საზოგადოების განვითარება, აღმოჩნდა სრული მზგავსება და ერთობა მათ შორის. ადამიანის უმაღლესად განვითარებული სხეული მით განსხვავდება მარტივი არსებისაგან, როგორც ინფუზორია და სხვა ამგვარი ერთუფრედოვანი არსება, რომ პირველის სხეული მრავალი უჯრედისაგან შედგება, ხოლო მეორესი კი მხოლოდ ერთი უჯრედისაგან; პირველის თითოეული უჯრედი უდრის მთელ ინფუზორიას. ადამიანი, როგორც ყოველივე სხვა სულიერი არსება, თავისი ცხოვრების დასაწყისში გამოიღობს ხოლმე ისეთ ხანას განვითარებისას, როგორც ინფუზორია, იგი ამასავით ერთუფრედოვანია. მამრობითი სქესის სანაშენო უჯრედი, შეურთდება რა დედრობითის სქესის იმგვარსავე უჯრედს წარმოსდგება ის მიერაკოპული არსება, რომელიც გაყოფით, როგორც ინფუზორია, ხდება მრავალ უჯრედოვანად, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ როდესაც ინფუზორია რამდენიმე ნაწილად იყოფება, ყოველი ნაწილი განცალკევებულ არსებას იწყებს, ხოლო მალევე არსების განვითარების დროს კი ახალი უჯრედები არ შორდებიან ძველებს, უერთდებიან მათ და ამგვარად შედგენენ ერთ მკერდს.

სოფ. ვარციხიდან საზარელსა და შემადრწუნებელ ამბავს გვყვანს მ. ლ. რიონი ყვირილა და ხანის წყალი ერთად შეერთებული, აღიდებული კალაპოტს გადმოედინა და წყალი მოსდებია ამ სოფელსა და სხვა მეზობელ სოფლებს. აუწყებელი სურათია თურმე: ადამიანის ყვირილი, საქონლის ბლავილი ერთად ცას ერთვისო. მცხოვრებლები ბინებს სტოვებენ და მალევე შორსიკვდებიან. ილუბება აუარებელი შინაური საქონელი, ფრინველი.

ჩვენი თანამშრომელი ფარი გვყვანს პეტერბურგიდან, რომ უკრანელ წარმომადგენელს სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კრებაზე, ბ. იულიუს სურვილი გამოუთქვამს, რომ ქართ. ჟურნალი „განათლება“ ეგზანგებოდეს უკრანელთა ჟურნალის „სვიტა“-ს რედაქციას, კიეში და ეს უკანასკნელიც სიამოვნებით გამოუგზავნის თავის გამოცემასო.

ია ეკალაძის თხოვნებზე ქუთაისში სამსარმოცდათმა კაცმა მოაწერა ხელი.

ცხრა იანვარს ღამით გოშტილის მახლობლად შემდეგი უბედურობა დატრიალდა: სათავადანაურო ბანკის „კურირი“ კაპიტემაქე ღამით გვიან დაბრუნდა შინ, სადაც დახვედრია მისი ცოლის დედა. დაუნახავს თუ არა ეს ქალი, რომელზეც ეჭვი ჰქონდა, რომ იჯახის სახლს უტყებდა, მის ცოლს ამაჯანკლებდა, ამოუღო რევოლვერი და ორჯერ დაუხლია ამ ცოლის დედისთვის. მესამე კი თავისთვის უსვრია. კაპიტემაქე იქვე მომკვდარა. ქალი მძიმე დაჭრილია.

დეკემბრის თვის განმავლობაში ფოთის ნავსადგურიდან საზღვარგარეთ გაიტანეს 3,170,413 ფუთი შავიქვი. ამავე თვის განმავლობაში ბათუმის ნავსადგურიდან კი 3,089,193.

1918 წლის განმავლობაში საზღვარგარეთ გაიზიდა სულ 65,827,266 ფუთი შავიქვი.

შავიქვის მრეწველთა საბჭომ ქიათურაში შეიმჩნა გ. გუგუჯიანის ადგილი ზომით 700 ოთხკ. საფენი 7500 მანეთად, სადაც იყო დამწვარი ქიათურის ქალთა პროფგანზიის შენობა.

ჩვენ გვატყობებენ, რომ მიზრან ანანოვი ამ ქვათ მძიმე ავით არის თფილისში.

სრულიად რუსეთის სახალხო მასწავლებელთა კრება.

(საკუთარა კარკასონდენტისაგან.) წერია მეთხე.

ინოვაციების სექციის მუშაობა 30 იანვარს დასრულდა. პრეზიდენტი და მასწავლებლები ერთმანეთს გულწრფელი და გრძნობიერი სიტყვებით გამოვსალმენ. დასასრულ კრებამ თავისი გულისწყრომა და უკმაყოფილების პროტესტი გამოუცხადა მეზარეულ პრესას განსაკუთრებით „ნოვოე ვრემას“, სადაც მასწავლებელთა კრებისადმი და ყველაზე მეტად ჩვენი სექციისადმი მიმართული ცილისწამებით ინსინუაციებითა და ლანდღვა-გინებით საესე წერილები თვსდებოდა.

სექციის სხდომებზე და მის გარეთ სხვადასხვა ერის მასწავლებელნი ურთიერთს უახლოვდებოდნენ და სულიერად უნათესავდებოდნენ. უკრანელების ერთი მომხსენებელთაგანი, სახელად იულიჩი (ფსევდონიმი) დაინტერესებულია ქართულთა ცხოვრებით.

2 იანვარს კავკასიელებმა — ქართველებმა, სომხებმა და ლეზგიელებმა მასწავლებლის რესტორანში ნადიმი გავ-მართეთ „ინოვაციების“ სექციის პრეზიდენტს. დაესწრნენ თავჯდომარე ტუმში და სხვა წევრები: ციმბირელი სახელმწიფო სათათფიროს წევრი პეველიაი, მუსულმანთა ფრაქციის თავჯდომარე ენიკევი, პეტერბურგელი ნადიცი ვეკილი დუბოვსკი, იორდანსკის ქალი და სოლოვი, დაესწრნენ აგრეთვე დეპუტატები ვ. გელოვანი და ჯაფარი (მაქსიმუგინიდან) „რანეე უტროს“ თანამშრომელი, მოსკოვის ქალი, პროფესორი ბოროდინი და ორმოცამდე მასწავლებელი და სტუდენტები. ნადიმზე მოწვეული იყო კ. ჩხეიძე, რომელიც უდროობის გამო ვეღარ დაესწრო.

თამადათ არჩეული იქნა დეპუტატი გელოვანი. ნადიმზე მეტად მხიარულად ჩაიარა. ნახი და კეთილშობილური გრძნობებით სავსე სიტყვებს საზღვარი არ ქონდა. ყოველი მხრიდან სამართლიანობას, ძმობას და ეროვნებათა შორის პატივისცემისა და სიყვარულის დამყარებას ტკბილს საგალობელს უგალობდნენ. ნადიმზე გაგებულა საღამოს 8 საათიდან თითქმის დღის 4 საათამდე.

თორმეტი დღის ინტენსიური მრავალ-

დღიური

ენებლილსა გრეი ინახულა ლონდონში და ბალკანეთის საქმეებზე მოელოპარკა.

ბულგარეთში სოციალისტები დეპუტატთა კრების დათხოვის გამო მიტინგებს მართვენ.

ვენის დეპუტატთა პალატაში 7 იანვარს ჩება დეპუტატებმა ობსტრუქცია მოახდინეს.

მაქსიმ გორკი ფინლიანდიაში მივიდა.

ფეროვანი მუშაობას შემდეგ 3 იანვარს დაიხურა სრულიად რუსეთის მასწავლებელთა პირველი კრება. ამ ხნის განმავლობაში მემარჯვენე პრესა და საზოგადოება შეუპოვრად ებრძოდა კრებას, რომელიც ბოლოს პრეზიდენტსა და საორგანიზაციო კომიტეტს შეიქრა. საორგანიზაციო კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე სექციების რეზოლუციების მასწავლებელთა საერთო კრების წინაშე გამოქვეყნების და მათ მიერ დადსტურების წინააღმდეგი აზრი დაიბადა. განსაკუთრებით აწუხებდათ „ინოვაციების“ რეზოლუცია, თუმცა იგი სხვა სექციების რეზოლუციებზე სასტიკსა და საშინაარს არას წარმოადგენდა. სხდომა ორათ გაიყო, რომელთა შეთანხმებაც შემდეგი კომპრომისით მოხდა: რეზოლუციები უნდა გამოქვეყნდეს, მაგრამ, როგორც „სიხელის“ რეზოლუციები კი არა, არამედ მხოლოდ რაგორც სექციები. ამიტომ სენატორმა მიმართვა მასწავლებელთა საერთო კრებას მიმართა, რომ რიგით სექციების მიერ შემუშავებული რეზოლუციები მასწავლებელთა საზოგადო კრებას უნდა დამტკიცებია. ხოლო რადგან ეს კამათს გამოიწვევს და ამის დრო კი არ არის, ამიტომ წაითხული რეზოლუციები უნდა ჩაითვალოს, მხოლოდ ცალკე სექციების რეზოლუციებათა. მაშინკრავის სიტყვები თავისთავად, რასაკვირველია, უსაბუთოდ და სიმართლეს მოკლებულია, რადგან რეზოლუციები მასწავლებელთა მხრით არავითარ წინააღმდეგობასა და კამათს არ გამოიწვევდა და სრულებით მეტ დროს არ მოითხოვდა. ხოლო მათი განზრახვა ცხადია: ამით სურდათ რეზოლუციები-

დღიური

17 იანვარს პეტერბურგში რედაქტორთა კრება მოხდა პრესის საქმეთა მთავრობის კანონპროექტის შესახებ მოსალაპარაკებლად.

8 იანვარს პეტერბურგში მასიური ჩხრეკა იყო.

აპონიაში პარლამენტი გაიხსნა. პრემიერ მინისტრმა პირველ სხდომაზე უცხო სახელმწიფოებთან დამოკიდებულების შესახებ სიტყვა სთქვა.

ფარი.

სათვის ძალა და გავლენა წართმეოთ და ამრიგათ თვით სიხელის მნიშვნელობაც დაემცირებიათ.

მაგრამ „სიხელისაგან“ რეალურ ნაყოფს და რეზოლუციების დღეიდანვე ცხოვრებაში გატარებას არც ერთი გულუბრყვილო ადამიანი არ მოელოდა. დიად მარალურ მნიშვნელობას კი მას ვერავინ წაართმევს. ამ მხრით მასწავლებელთა სიხელის მნიშვნელობა იმდენად დიდი და საგრძნობელია, რომ მისი მოკლე წერილით გადმოცემა შეუძლებელია.

„სიხელის“ უკანასკნელმა საზოგადო კრებამ მძიმე და არა სასურველი შედეგები მოახდინა მასწავლებლებზე. კრების პირველ დღეს „შენიშნული აფეთიოვანება და დღესასწაულებრივი სულიერი განწყობილება მოღრუბლულსა და უკმაყოფილო გუნებით შეიცვალა.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა დიდ უმრავლესობისათვის სრულებით უცხოა ბნელი შავრანული მიდრეკილებანი. და თუ შიგა და შიგურვიან უკუღმართი შეხედულების ადა მიახები, ისინი ვეღარ ბედვენ საჯაროთ აღიარონ და გამოამჟღავნონ თავისი არა ადამიანური გულის ზრახვანი.

მეორე სრულიად რუსეთის სახალხო მასწავლებელთა კრება, საორგან. კომიტ. განცხადებით მოხდება სამ წელს შემდეგ 1916 წ. ქ. მოსკოვში, რომლის მოწყობაც ევალებათ პეტერბურგის და მოსკოვის წ. ქ. საზოგადოებათ.

ფარი.

აქ უნდა შესწავლიდნენ ახალ ზავს, სიციხეს, სიციფეს, ახალგვარ საქმეს, ერთი სიტყვით, უნდა აეტანათ ახალი ადგილის ბუნებრივი თვისებანი. რასაკვირველია, ბევრი ვერ უძლებდა და იხრცებოდა. იმათ კი, ვინც გადარჩენ და ახალი გარემოებათა შეგუების თვისება გამოიჩინეს, მოიპოვეს არსებობის ბრძოლის ახალი თვისებანი, რაც მეცნიერების ძალით გადაეცა შთამომავლობას.

ახალმა ადგილმა, ახალმა ჰავამ, ბუნების ახალმა ვითარებამ გამოიწვია სხვადასხვა შესაფერი ცვლილება მის აგებულებაში.

ასე წარმოსდგა ადამიანთა სხვადასხვა მოღვა. დღეს კაცობრიობა განიყოფება რამდენსამერასათ, ანუ მოღვათ, მაგრამ ყველა ამ რასის წარმომადგენელი თეთრ-კანიანი კავკასიელი, შავი ზანგი, მოყვითალო მონგოლი, სპილენძის ფერის ამერიკელი და მეტი წაბლის ფერი მალაიური — თუმცა გარეგნობით ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მაგრამ ყველა საერთო შთამომავლობისაა.

არ შეგვიძლია იმის განმარტება, თუ როდის მოხდა ადამიანთა მოღვათად დაყოფა.

გვგებამ ყველაზე უძველეს ნაშთებს გვაძლევს ადამიანის განუზომელი სიძველეს. გვევტრელი თავადის უნახის წარწერაში მოხსენებული არიან ზანგები — nabsi. ეს წარწერა შეთხზულია სამიათისი წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდე. აქიდან ჩანს, რომ კაცობრიობა მაშინ უკვე განიყოფებოდა მოღვათად, ზანგები თურმე მაშინ მსახურობდნენ ეგვიპტის ჯარებში.

თბილ მეფეთა საფლავებზე ფერადი წაბლებით არის დახატული სხვადასხვაგვარი ადამიანის სახე, რომლითაც ეგვიპტელებს უნდა აღენიშნათ მათი წარმოდგენით ოთხი მოღვა. მართლაც, ცო-

მომავალი წლის განმავლობაში... მოგვითხრობს... მოგვითხრობს...

თბილისი... მოგვითხრობს...

დ. სარგაძე... მოგვითხრობს...

საქართველო... მოგვითხრობს...

მეორე დღეს... მოგვითხრობს...

ასე გასტყდა... მოგვითხრობს...

დღეს აქ ყველა... მოგვითხრობს...

წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორ!... მოგვითხრობს...

ბ. რედაქტორ!... მოგვითხრობს...

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი... მოგვითხრობს...

ათი შური: ნინო... მოგვითხრობს...

რედაქტორ-გამომცემელი გ. ბრეგვაძე.

ქალაქები ქალაქის ჩასაყრელი.

Table with 12 columns: 12 თ., 11 თ., 10 თ., 9 თ., 8 თ., 7 თ., 6 თ., 5 თ., 4 თ., 3 თ., 2 თ., 1 თ.

თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში აღესკვრის...

„საზღვარ გარეთ“

რომელშია მონაწილეობის იღებენ... მოგვითხრობს...

გ. გორგაძისა და ს. წიკაბაძის

ეროვნული წარმომადგენელი ქუთაისის... მოგვითხრობს...

Table with 2 columns: სპორტული წინააღმდეგობა, სპორტული წინააღმდეგობა.

რედაქციის გზავნილი

Table with 2 columns: მთლიანი, მთლიანი.